საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/173
2024 წლის 14 მაისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ (www.matsne.gov.ge, სსმ, №117, 31/08/2006, სარეგისტრაციო კოდი: 300.300.000.22.025.009.162) შეტანილ იქნეს ცვლილება და 41-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 35-ე პუნქტი:

„35. 2024 წლის აპრილის პერიოდში შექმნილი ტექნიკური გარემოებების გათვალისწინებით და ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის მიერ წყლის უქმი დაღვრის თავიდან აცილების მიზნით, ენგურჰესის 2024 წლის აპრილის თვის გამომუშავება პირველ რიგში გამოყენებულ იქნეს საექსპორტოდ. ამავე საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის მოხმარების დაბალანსება განხორციელდეს ენგურჰესის გამომუშავებიდან ექსპორტის ზევით დარჩენილი მოცულობისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის, ასევე სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ხარჯზე. აფხაზეთის მოხმარების დაბალანსების მიზნით სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ხარჯზე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის დაბრუნება ენგურჰესის მიერ განხორციელდეს ამ წესების 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. ამ პუნქტით გათვალისწინებული ექსპორტის უფლების მოპოვება ხდება ამ წესების შესაბამისად ჩატარებული აუქციონის შედეგებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი **ლევან დავითაშვილი**